ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

სხდომის ჩატარების დრო:
9 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ლევან სანიკიძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ამირან კოპალეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, მაია სიმონიძე (ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სხდომას ესწრებოდა ზუმის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით).

სულ: 7 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, მირზა ხიდაშელი.

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან სანიკიძემ და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2. „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის განვითარების 2020-2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის-**„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მირზა ხიდაშელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.ხიდაშელმა** აქვე განმარტა: „წარმოდგენილი საკითხი მოწონებულ იქნა საკრებულოს წინა სხდომაზე, მაგრამ სახელმწიფო რწმუნებულთან ბოლო შეხვედრის მერე პრიორიტეტები ცოტა შეიცვალა, მოგეხსენებათ, აღნიშნული ფონდი ფინანსდება ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან და შესაბამისად შეზღუდულები ვართ

პრიორიტეტებშიც. ცვლილება მდგომარეობს შემდეგში, რადგან წინა წელს, საკმაოდ ბევრი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი გვქონდა ჩასმული და სარეაბილიტაციო სამუშაოების რამდენიმე ადგილზე ერთად განხორციელებას, ბუნებრივია გართულებები მოსდევს, გამოიწვია მოსახლეობის გულისწყრომა. აქედან გამომდინარე, ბატონმა ზვიადმა არჩია, რომ შეგვეცვალა პრიორიტეტი. ქუჩების ჩამონათვალი, რომელთა 2022 წელს შეუკეთებლობა, მნიშვნელოვნად არ დააზიანებს მოსახლეობის ინტერესებს, ამოღებულ იქნეს ჩამონათვალთა სიიდან და ამ ფინანსებით გაიზარდოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები (სახურავები, სადარბაზოები, სარდაფები), საუბარია დაახლოებით ოთხ მილიონ ლარზე. წელს ჩვენ ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, იმ პროექტების გარდა, რასაც თქვენ მოიწონებთ, ვერაფერზე ვისაუბრებთ. მოგახსენებთ, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალიდან ამოღებულია რესპუბლიკის ქუჩა, ზვიად გამსახურდიას გამზირი, დავით აღმაშენებლისა და „პოპულის“ დამაკავშირებელი პატარა ქუჩა.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „ხომ აქვს მნიშვნელობა ქუჩის მდგომარეობას? იქნებ ისეა დაზიანებული, რომ ამ ქუჩის რეაბილიტაციის სამომავლოდ გადადებამ მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვიოს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „ზემოხსენებულ შეხვედრას ესწრებოდა ქალაქის მერი, გუბერნატორი, მისი მოადგილეც და საერთო შეთანხმებით ჩაითვალა, რომ ეს ქუჩები თუ არ გაკეთდება 2022 წელს, არ იქნება ტრაგედია.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „ვფიქრობ, მეტად საყურადღებოა ბინების პრობლემის მოგვარება ამ შემთხვევაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „ჩამოთვლილი სამი ქუჩის ამოღების შედეგად დაზოგილი თანხა დაემატა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამებს.“

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „რეალურად არსებობს ბინათმესაკუთრეთა პროგრამებში სადარბაზოების მოწესრიგება-გარემონტების ქვეპროგრამა, ეს დაემატება კიდევ ცალკე.“

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რამდენადაც ვიცი, სადარბაზოების რეაბილიტაციის პროგრამა იყო ადრეც, მაგრამ საკმაოდ საწვალებელი თემა იყო და შემსრულებელი რჩებოდა უკმაყოფილო.“

კომისიის წევრი, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „როგორც მე ვიცი, რჩება ძველი პროგრამებიც, მოსახლეობის არჩევანის მიხედვით, ვისაც ენდომება მხოლოდ ფანჯრებს და კარებს შეცვლის, ვისაც ენდომება და მეტის გადახდის საშუალებაც ექნება, მეორე ვარიანტს აირჩევს.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „განკარგულების პროექტში ნახსენებია მეჩვიდმეტე სპორტული სკოლა და შეგიძლიათ რომ განგვიმარტოთ, რას მოიცავს მისი რეაბილიტაციის პროგრამა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „ა(ა)იპ სპორტული გაერთიანების ბალანსზე არსებული სკოლა, რომელიც მდებარეობს ნიკეას ქუჩაზე. შარშან აქ გავაკეთეთ გათბობა და წელს საუბარია მთლიანად რეაბილიტაციაზე."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „ავტოქარხანაში, ხარებავას ქუჩაზე არსებული სპორტული სკოლის გაფართოებაზე იყო საუბარი, რა სიტუაციაა ახლა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „ვაპროექტებთ, დღეს დაგვირეკა საპროექტომ, ჩამოსულია და აუცილებლად იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული, გამოყოფილია, თუ არ ვცდები, 150 000 ლარი."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „არასასიამოვნო ფაქტია, რომ ამ ჩამონათვალიდან ამოვარდნილია ანჯაფარიძის ქუჩა, საკმაოდ დატვირთული ქუჩაა მოსახლეობით და ვფიქრობ, საჭიროებს რეაბილიტაციას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „ეს სია, რაც წარმოვადგინეთ, არის საწყისი სახით, წლის მანძილზე შესაძლებელია მასში არაერთი ცვლილების შეტანა."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის განვითარების 2020-2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მირზა ხიდაშელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.ხიდაშელმა** აქვე განმარტა: „საუბარია საპილოტე რეგიონების ინტეგრირებულ პროგრამაზე, ამ პროგრამაში დონორი არის ევროკავშირი, პროგრამიდან დაფინანსების მიღების წყარო არის ევროკავშირის ფონდები და მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში, თქვენ რომ მოიწონებთ იდეას, ვიწყებთ ამის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და წარვადგენთ კომისიის წინაშე, რომელიც არის სამხარეო ადმინისტრაციაში შექმნილი, როდესაც აღნიშნული კომისია ამ იდეას დადებით შეფასებას მისცემს, ვუშვებთ დაფინანსების მოძიებაზე. ამ ეტაპზე წარმოდგენილია დამატებით იდეები- გამსახურდიას ქუჩაზე და ახალგაზრდობის გამზირზე მრავალსართულიანი სახლების ფასადების მოწესრიგება, მინდვრის ჰოკეის სტადიონი და სკვერი ნინოშვილის ქუჩაზე."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „იყო საუბარი ერთ საყურადღებო თემაზე როგორც ვიცი, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც ხალხი თავიანთი სურვილისამებრ ყველგან კვეთს ქუჩას, ამის შეზღუდვის მიზნით ე.წ. ტროტუარებს გაუკეთდეს მოაჯირები, რომლებიც მხოლოდ „ზებრა" გადასასვლელებზე იქნება ღია და მოსახლეობაც მხოლოდ იმ ადილებზე შეძლებს ქუჩის გადაკვეთას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მირზა ხიდაშელი:** „ჩვენ გვაქვს გამოცხადებული

საპროექტო ტენდერი, ლოტში არის ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას გამზირის პროექტირება და ზუსტად ამას გულისხმობს, რომ შეიზღუდოს ე.წ. ტროტუარების ნაპირები მოაჯირებით.“

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან სანიკიძემ დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის განვითარების 2020-2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების გამო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან სანიკიძემ, კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ლევან სანიკიძე